ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4349117

ნომერი: AR1655876

თარიღი : 21.01.2019

გაცემის თარიღი : 24.01.2019

გაცნობის თარიღი : 24.01.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ღლონტი პ/ნ 01012014468
- ს.ჩიქოვანის 24 ა

ორგანიზაცია:
- სს"ლიბერთი ბანკი'' კოდი: 203828304

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათების მიხედვით დგინდება, რომ სამსახურის მიერ 14.02.2018წ. №3824125 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოები ნაწმოებია დარღვევით, საჭიროა საკითხი დააყენოთ არა „რეკონსტრუქციის“ არამედ 14.02.2018წ. №3824125 გადაწყვეტილების „კორექტირების“ კუთხით.
- ამასთან ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, განსახორციელებელი სამუშოაოები ეხება 04.07.2018წ. №4050071 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ კიბეს რომლის რეკონსტრუქციაც სრულად არ არის განხორციელებული საჭიროა ახალ განცხადებაზე მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დამატებით განმარტოთ ინფორმაცია 04.07.2018წ. №4050071 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნასთან დაკავშირებით (ვინაიდან განსახორციელებელი საპროექტო სამუშაოები მოიცავს კიბის რეკონსტრუქციასთაც).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სამსახური ომკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება „რეკონსტრუქციის“ კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.